FROM THE HISTORY OF KHVITI[1]

ხვითის ისტორიიდან

GIORGI SOSIASHVILI
Doctor of History, Professor of Gori State University
ORCID:0000-0002-2406-8662
giorgisosiashvili@gmail.com
+995577240088

IOSEB ALIMBARASHVILI
Doctor of History, Associate Professor of Gori State University
ORCID: 0000-0002-0347-1815
sosoalimbarashvili@gmail.com
+995577151219

Abstract

The article examines the political and socio-economic history of Kvemo and Zemo Khviti, two villages near the occupation line in Shida Kartli, its population dynamics, ethnic and religious composition, village antiquities, fortifications, material and spiritual monuments, lapidary inscriptions and epitaphs. The meaning and origin of the toponym "Khviti" is also researched, along with Khviti's relationship with the Monastery of the Cross in Jerusalem. Khviti was the property of the Taktakishvilis' from ancient times, but apart from them different numbers of serfs here and the lands were owned by Machabelis', Kherkheulidzes', Pavlenishvilis', Tumanishvilis'. The village has been actively appearing in written sources since the 16th century. The population was mainly engaged in agriculture and horticulture.

The church of the Virgin Mary is the oldest in the village. According to the inscription, in 1672, Mroveli Episcope Ioane Taktakisdze had built a church on his own lands for himself and his brothers: Ardashel, Philip and Elisbar, to "confess the sins", which had been a "Metoki" of the Virgin St. Mary church of Vredzi.

It is noteworthy that the same persons built the chapel of the famous monastery of Tire, north of Khviti, in 1682, with the difference that the older brother Ioane it is not mentioned in the inscription. We have to assume that he is already dead by this time, so "Mroveloba" moves on to his next brother - Philipe.

Like other villages in Kartli, Khviti and its population were actively involved in the defensive battles against the Lezgins.

[1] სტატია მომზადდა გსსუ შიდა პროექტის ,,საოკუპაციო ხაზთან არსებული სოფლების ლაპიდარული წარწერები" დარგლებში (ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძ. #5-05;05.02.2021)

According to the decree issued by Erekle II on August 28, 1772 related to the formation of "Samdevroebi", which was directed against the attacks of the Lezgins, Khviti was united in the third “Samdevro” with other villages of Didi Liakhvi (Dzartsemi, Kurta, Tamarasheni, Tskhinvali, Nikozi, Pkhvenisi, Shindisi). In case of attack by Lezgins from Didi Liakhvi gorge, they had to fortify the back to the second “Samdevro” (villages near Patara Liakhvi). For their part, in the event of an enemy coming from the Dzama Valley, the population of Khviti, along with other villages of the Third “Samdevo”, were obliged to assist the villages of the waterlands of village Dirbi.

Key words: Zemo and Kvemo Khviti antiquities, lapidary inscriptions, epitaphs, population, Pavlenishvilis’, Taktakishvilis’, cultic and fortifications.

გიორგი სოსიაშვილი,
ისტორიის დოქტორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი
ORCID:0000-0002-2406-8662
giorgisosiashvili@gmail.com
+995577240088

იოსებ ალიმბარაშვილი,
ისტორიის დოქტორი, გორის სახელმწიფო უნვერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
ORCID: 0000-0002-0347-1815
sosoalimbarashvili@gmail.com
+995577151219

აბსტრაქტი

სტატიაში შესწავლილია შიდა ქართლში საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს არსებული ორი სოფლის ქვემო და ზემო ხვითის პოლიტიკური, და სოციალ-ეკონომიკური ისტორია, მოსახლეობის დინამიკა, ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობა, სოფლის სიძველეები, საფორტიფიკაციო ნაგებობები, მატერიალური და სულიერი ძეგლები, ლაპიდარული წარწერები და ეპიტაფიები. გარკვეულია ტოპონიმ ,,ხვითის“ მნიშვნელობა და წარმომავლობა. ხვითის ურთიერთობა იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან.

ხვითი ძველთაგან თაქთაქიშვილების საკუთრებას წარმოადგენდა, მაგრამ სხვადასხვა რაოდენობით აქ ყმები ჰყავდათ და მიწები ჰქონდათ მაჩაბლებს, ხერხეულიძეებს, ფავლენიშვილებს, თუმანიშვილებს.

სოფელი წერილობით წყაროებში უკვე აქტიურად ჩნდება XVI საუკუნიდან. მოსახლეობა ძირითადად, მიწათმოქმედებას და მებაღეობა-მევენახეობას მისდევდა.

სოფელში მდგარი ეკლესიებიდან ყველაზე ძველი ღვთისმშობლის ეკლესიაა. როგორც წარწერიდან ირკვევა, იგი 1672 წელს, მროველ ეპისკოპოს იოანე თაქთაქისძეს თავისივე ნასყიდ ადგილში საკუთარი და ძმების: არდაშელ, ფილიპე და ელისბარის ,,ცოდვათა შესანდობლად“, ვრეძის

ღვთისმშობლის ,,მეტოქად“ აუგია. აღსანიშნავია, რომ იგივე პირები აშენებენ ხვითის ჩრდილოეთით, თირის ცნობილი მონასტრის ეკვდერს 1682 წელს, იმ განსხვავებით, უფროსი ძმა იოანე თირის წარწერაში მოხსენიებული არ არის. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ამ დროისათვის უკვე გარდაცვლილია, ამიტომ მროველობა მომდევნო ძმაზე - ფილიპეზე გადადის.

ისევე, როგორც ქართლის სხვა სოფლები, ხვითი და მისი მოსახლეობა აქტიურად იყო ჩართული ,,ლეკიანობის“ წინააღმდეგ თავდაცვით ბრძოლებში.

ერეკლე II-ეს მიერ 1772 წლის 28 აგვისტოს გამოცემული ,,სამდევროების“ განჩინებით, რომელიც ლეკთა თავდასხმების წინააღმდეგ იყო მიმართული, ხვითი მესამე სამდევროში იყო გაერთიანებული დიდი ლიახვის სხვა სოფლებთან (ძარწემი, ქურთა, თამარაშენი, ცხინვალი, ნიქოზი, ფხვენისი, შინდისი) ერთად. დიდი ლიახვის ხეობიდან ლეკების თავდასხმის შემთხვევაში მათთვის მეორე სამდევროს (პატარა ლიახვის მიმდებარე სოფლები) უნდა გაემაგრებინათ ზურგი. თავის მხრივ, ძამას ხეობიდან წამოსული მტრის შემთხვევაში ხვითელები, მესამე სამდევროს სხვა სოფლებთან ერთად, ვალდებულები იყვნენ დირბის წყლის სოფლებს დახმარებოდნენ.

საძიებო სიტყვები: ზემო და ქვემო ხვითის სიძველეები, ლაპიდარული წარწერები, ეპიტაფიები, მოსახლეობა, ფავლენიშვილები, თაქთაქიშვილები, საკულტო და საფორტიფიკაციო ნაგებობები.

შესავალი

გეოგრაფიული მდებარეობა. ხვითი, შიდა ქართლის ვაკეზე, ცხინვალის სიახლოვეს, მდ. დიდი ლიახვის დასავლეთ ნაპირას გორიდან ჩრდილოეთით 27-ე კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. იგი ორ ნაწილად (ზემო და ქვემო) იყოფა. ზემო ხვითს გამყოფი საზღვარი აქვს სოფ. ქვემო ნიქოზთან. ქვემო ხვითი ზღვის დონიდან - 800, ხოლო ზემო ხვითი 835 მ-ის სიმაღლეზეა.

ტოპონიმ ხვითის განმარტებისათვის[2] ხვითის თავდაპირველი ფორმაა - **რხვითი**, უფრო ძველი ფორმაა - **რხუითი**. ჯერ კიდევ 1573 წლის უცნობი პირის მიერ ნიქოზის ეკლესიისადმი შეწირულობის წიგნიდან ირკვევა, რომ მას ნიქოზის ტაძრისადმი ,,შეუწირავს **რხვითს** მარტუილოზასშვილის მამული, ორთავე განაყოფთა მამული; იქვე, **რხუითის** უფლისურისა შემწირველისა კერძი ნახევარი მამული და გაუთავისუფლებია სათხოვრისა თვისისაგან“ [ბერძენიშვილი (I), 1940:8-9]. 1745 წლის 13 ივნისით დათარიღებული ,,სამართალი თეიმურაზ II-ისა ქრცხინვალელებისა და ფავლენიშვილების სარჩელზე“ მოხსენიებულია ,,რხვითის მამულები“ [ბერძენიშვილი (I), 1940:326].

[2] სოფლის სახელწოდების შესახებ ადგილობრივ მოსახლეობას სხვადასხვა გადმოცემები აქვს, თითქოს სოფელზე გაუვლია თამარ მეფეს ლაშქრით, გადაღლილი ცხენები **ხვითქში** ყოფილან გათანგულები, რის გამოც, მეფეს შესვენება უბრძანებია. სხვა მოსაზრებით, **ხვითქი** სიცხისა და შრომისაგან გადაღლილ მოსახლეობას გადასდიოდა. ანა ბითაძე თვლის, რომ ტოპონიმი ხვითი ღმერთისაგან მომდინარეობს. ნათესაობით ბრუნვაში ,,**მ**“ იქცა ,,**უ**“-დ, ,,**რ**“ დაიკარგა და მივიღეთ ღუთისა. შემდეგ ,,**ღ**“-,,**ხ**“-დ იქცა და ახალ ქართულში მივიღეთ **ხვთისა**. სამი თანხმოვნის თავშეყრის ადგილას ,,**ვ-თ**“ შორის გაჩნდა ჩანართი ,,**ი**“, დაიკარგა ,,**სა**“ და მივიღეთ ,,ხვითი“ [**ბითაძე, 2019:22**] .

მეთოდები

კვლევა, ძირითადად, ეფუძნება ისტორიულ და პოლიტიკურ მეცნიერებებში აპრობირებულ კვლევის მეთოდებს: ემპირიული ანალიზი, შედარებით-ისტორიული მეთოდი, მიზეზობრივ-შედარებითი ანალიზი, სინთეზი, აბსტრაქცია, კონტენტ-ანალიზი, სისტემური ანალიზი.

შედეგები

სოფელ ზემო და ქვემო ხვითის ლაპიდარული წარწერები მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა შიდა ქართლში, კერძოდ, მდ. დიდი ლიახვის შუაწელზე არსებული უძველესი ქართული სოფლების, იქ მდებარე მატერიალური კულტურის ძეგლების, საქართველოს ამ უძველესი კუთხის ეთნიკური, რელიგიური და დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ. 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დიდი ლიახვის ხეობაში არსებული არაერთი ქართული სოფელი მავთულხლართს მიღმა აღმოჩნდა. რუსეთის საოკუპაციო ძალებმა დაიკავეს ტერიტორია, სადაც მრავალი საუკუნის განმავლობაში უწყვეტად ცხოვრობდა ქართული მოსახლეობა, თუმცა მიწის მითვისება ამით არ დასრულებულა, ე. წ. მცოცავი ოკუპაცია დღემდე საფრთხეს უქმნის მიტაცებულ ტერიტორიის სიახლოვეს არსებულ ისტორიულ სოფლებს, სადაც ერთ დროს წინაპართა ხელით იგებოდა ტაძრები და ციხე-სიმაგრეები, იკვეთებოდა წარწერები, რაც ჩვენი მდიდარი წარსულის უტყუარი დადასტურებაა.

დისკუსია

მოსახლეობა. სოფელ ხვითის მოსახლეობის შესახებ ადრეული ცნობები მხოლოდ ფრაგმენტულად გვაქვს. სხვადასხვა წყალობისა და ნასყიდობის სიგელები გარკვეულ ინფორმაციას გვაძლევს აქ მაცხოვრებლების ეთნიკური, რელიგიური და სოციალური მდგომარეობის შესახებ. ამ მხრივ, პირველი, მეტნაკლებად სრულყოფილი დოკუმენტი ,,1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარია," რომელიც ოსმალური ხელისუფლების (სულთან აჰმედ III-ის (1703-1730 წწ.) დავალებით შეიქმნა და გადასახადის გადამხდელი მოსახლეობის აღწერას ისახავდა მიზნად. დავთრის მიხედვით, XVIII ს. 20-იანი წლებისათვის ქვემო ხვითში გადასახდის გადამხდელი 48 მამაკაცი, ანუ კომლის უფროსი ცხოვრობდა. მითითებული სახელებიდან გამომდინარე, მათი დიდი უმრავლესობა ეთნიკურად ქართველი იყო. დავით შოშიას ძე, თავის ორ შვილთან: ბერთან და თამაზასთან ერთად იხსენიება, ოთარა ბერეკას ძე - ძმასთან - გიორგისთან ერთად, ოთარა შიოს ძე - შვილთან - ხოსიკასთან ერთად, ფარემუზ ივანეს ძე - შვილთან - ნადირასთან და ძმასთან დიმიტრისთან ერთად, ნასყიდა ივანეს ძე - შვილთან - დარჩიასთან ერთად, ბერი თამაზას ძე - ძმასთან თამაზასთან ერთად და სხვ [ჯიქია, შენგელია, 2009:345].

ამავე დავთრის მიხედვით, ზემო ხვითში 32 გადასახადის გადამხდელი მამაკაცია აღრიცხული და საკუთარი სახელების მიხედვით აქაც უმრავლესობა ეთნიკურად ქართველი იყო: ნიკოლოზ ძე ბერისა და ზაღლუა ძმა მისი, ბერი ძე ივანესი და ივანე ძე მისი, სეხნია ძე შოშიტასი და ბერი ძე მისი, ივანე ძე ზაქარასი და შიო ძმა მისი და ა. შ. [ჯიქია, შენგელია, 2009:345-346].

ოსმალურ დოკუმენტში მითითებულია, რომ ორივე სოფელი ექვემდებარებოდა გივი ამილახვარს. გადასახადებიდან გამომდინარე, ზემო და ქვემო ხვითის მოსახლეობა მისდევდამიწათმოქმედებას (გადასახდს იხდიან ხორბლით, ქერით, ჭვავით, ფეტვით), მევენახეობას

(გადასახადი ვენახზე), მეფუტკრეობას (გადასახადი სკაზე), მესაქონლეობას, მეხილეობას და სხვ. [ჯიქია, შენგელია, 2009:346-347].

ხვითის მოსახლეობის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ერეკლე II-ის დავალებით, XVIII ს. 70-იან წლებში შედგენილი ,,მორიგე ჯარის" დავთრები. რომელთა მიხედვით, ქვემო ხვითიდან გამოდიოდნენ:

ნიკოლოზ აბაშიძის ყმა გამგებელი ნინია
იესეს ყმა მეტრეველი პაპუნა
ხიზანი დავით მოურავის ყმა მელაძე შიო
იოანეს[3] ყმა ნარიმაშვილი იოანე
იმერელი მამუკას ძმა
ედილა ავალიშვილის ობლის ყმა გადმორაშვილი ივანე.
ზემო ხვითიდან: იესე ფავლენიშვილის ყმა გოგიშვილი ბასილა
ჯიტაშვილი მოსესას ყმა ლაზარეშვილი ღთისია
მთაწმინდის ყმა მჭედლიშვილი გოგია, გოგიას სახლის კაცი[4]
ავთანდილ მდივნის ყმა ოქოტაშვილი გლახა
დიმიტრი ყაფლანიშვილის ყმა იოსებ მღვდელი
წმ. შიოს ყმა საძაგლიანთ დათიასშვილი ღთისია [ლორთქიფანიძე, 1947:343-344].

ქვემო ხვითის მოსახლეობის შესახებ შედარებით სრულყოფილია ცხინვალის მიმდებარე სოფლების 1781 წლის მოსახლეობის აღწერის დავთარი, სადაც ქვემო ხვითში აღრიცხულნი არიან სახლთუხუცეს დავით აბაშიძის ყმები: იესე, ივანე და გაბრიელ მჭადაულიძეები, ლაცაბიძე ხიზანა, გოგია, მამაცა და ამისი შვილობილი გოგია ხიზანიშვილები, ბუაჩიძე იმედა, ივანე ბითაძე, სესია ლაცაბიძე, პაპუნა და ღთისია მეტრეველები, ბერიკა, ბიძინა და გოგია მარგველაშვილები. იოანე თაქთაქიშვილის ყმები: გლახა და

ქვემო ხვითის წმ. ღვთისმშობლის ეკლესია (ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან)

[3] დავთარში ნარიმაშვილის მფლობელი იოანეს გვარი დაკონკრეტებული არ არის, მაგრამ 1781 წლის დავთრიდან ირკვევა, რომ იოანე თაქთაქიშვილია, ხოლო იოანე ნარიმაშვილის გვარის სწორი ფორმა - ნარიმანაშვილია.

[4] ზემო ხვითელი მჭედლიშვილები სხვა აღწერებშიც მთაწმინდის მონასტრის ყმებად ჩანან, როგორც ჩანს, ეს გვარი, თავისი ხიზნებით, მთაწმინდის მონასტერს იყო შეწირული.

ნინია ნარიმანაშვილები, დათუა და გოგია მარგველაშვილები, მელაძე ოთარა, ვათიაშვილი თამაზა, ღარიბა და პეტრე არჩვაძეები, ივანე და მამუკა ბაბლიძე და სხვ. [თაბუაშვილი, 2013:48-49].

დავთრის მიხედვით, ქვემო ხვითს მდგარან ხიზნად ხერხეულიძეების ყმები: დავით, ბერი, რამაზ, ივანე და როსება მაჭავარიანები, როსტომ ერისთავის ყმა - დვანელი ივანაშვილი სესია, გლახა როჭიკაშვილის ყმები: სკრელი სესია ივანაშვილი და ბეჟია საყვარელიძე, ამილახვრის ყმა - ბერი ბათხაძე, ავთანდილ ხერხეულიძის ყმები: გლახა, ბერი, ნინია და შიო ბასილიძეები და სხვ. [თაბუაშვილი, 2013:50].

ამავე დოკუმენტის მიხედვით, ზემო ხვითში ცხოვრობენ: იესე ფავლენიშვილის ყმები: დათუნა, ვასილი და საბა გოგიშვილები, იესე და ივანე ესიაშვილები, ნინია პაპიაშვილი, დათუა მამაგულაშვილი, აღათანგ ხერხეულიძის მკვიდრი ყმა ბერი კოკოზაშვილი, დავით ხერხეულიძის ყმა გოგია ტაბუცაძე, მთაწმინდის მონასტრის ყმები: მჭედლიშვილი, ივანე, დათუა და ბერი დოიჯაშვილები.

ზემო ხვითში მოცემული დროისათვის ხიზნად იდგნენ: ამილახვრის ყმა საძაგლიშვილი გოგია, როსტომ ერისთავის ყმა ივანე გვიმრაძე, სულხან ბეგთაბეგიშვილის ყმები: ოქუტაშვილი და ღთისია ხარშილაძე, იოანე ხერხეულიძის ყმები: ივანე და ბერი ზაქარაშვილები და სხვ [თაბუაშვილი, 2013:52-23].

გორის მაზრის სახაზინო და საბატონო სოფლების 1804 წლის პირველი კამერალური აღწერის მიხედვით, ზემო ხვითში ცხოვრობდა 29 კომლი, რომელთაგან 114 მამაკაცი იყო და 77 ქალი (191 სული), ხოლო ქვემო ხვითში - 45 კომლი (167 კაცი, 134 ქალი, სულ 301) [ალიმბარაშვილი, 2021:669].

ზემო ხვითში ყმები ჰყავდათ: დარეჯან დედოფალს - 4 კომლი (14 კაცი, 14 ქალი), მაჩაბლებს - 7 კომლი (4 კაცი, 20 ქალი), არქიერ გერასიმეს მმართველობის ქვეშ მყოფ მთაწმინდის მონასტერს - 3 კომლი (20 კაცი, 11 ქალი), ივანე და თეიმურაზ ფავლენიშვილებს - 7 კომლი (26 კაცი, 16 ქალი), დიმიტრი ხერხეულიძეს - 3 კომლი (9 კაცი, 5 ქალი), ივანე ბეგთაბეგიშვილს - 3 კომლი (12 კაცი, 7 ქალი), ესტატე ციციშვილს - 1 კომლი (5 კაცი, 2 ქალი), პაატა აბაშიძეს - 1 კომლი (4 კაცი, 2 ქალი), ხოლო ქვემო ხვითში: იასე და ლუარსაბ თაქთაქიშვილებს - 25 კომლი (91 კაცი, 76 ქალი), ომან ხერხეულიძეს - 4 კომლი (18 კაცი, 11 ქალი), ბარძიმ და გოგია ამილახვრებს - 2 კომლი (3 კაცი, 4 ქალი), მიხეილ ერისთავს - 3 კომლი (9 კაცი, 5 ქალი), დიმიტრი ციციშვილს - 1 კომლი (3 კაცი, 1 ქალი), კათალიკოს ანტონ II-ს - 1 კომლი (4 კაცი, 1 ქალი), გიორგი XII-ს - 1 კომლი (8 კაცი, 6 ქალი), ღვთისმშობლის მონასტერს - 1 კომლი (2 კაცი, 2 ქალი) [ალიმბარაშვილი, 2021:93-94].

შედარებით სრულყოფილ სურათს იძლევა ხვითის მოსახლეობის ეთნიკური, რელიგიური, სოციალური მდგომარეობის შესახებ რუსული ხელისუფლების მიერ 1818 წელს ჩატარებული მეორე კამერალური აღწერა, სადაც უკვე თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი ოჯახთა შემადგენლობა, ვინაობა და რაოდენობა, ასევე აღწერილი მოსახლეობის ქონება.

აღწერის მიხედვით, 1818 წელს ზემო ხვითში ცხოვრობენ: ნინია ლაზარაშვილი, ოთარ ტაბუცაძე, დავით ხალაძე, ნინია, გოგია და გიორგი ესიაშვილები, სოსია შალუტაშვილი, გიორგი, ალექსი და სიმონ გოგიშვილები, სოსია დურგალი (გვარი მითითებული არ არის - ი. ა.), გლახა ქიმერიძე, პაატა ახალკაციშვილი, თევდორე და ბერუა ზაქარაშვილები, ზურაბ გონიერაშვილი, გაბრიელ კუპრაძე, ივანე ბურნაძე, ნიკოლა ვალიშვილი, ბეცია ეგნატაშვილი და დავით ზუბაშვილი ოჯახებით, სულ 64 კაცი და 34 ქალი. მებატონეთაგან მითითებულია: ბარძიმ ბორტიშვილი-მაჩაბელი, იასე

თაქთაქიშვილი, დავით და იასე მაჩაბლები, ლევან და მიხეილ ერისთავები, ესტატე ციციშვილი, ივანე სულხანიშვილი, ჯემალ და ლუარსაბ ხერხეულიძეები, ივანე, იორამ და თეიმურაზ ფავლენიშვილები. რუსულ დოკუმენტში განმარტებულია, რომ სოფელი სარგებლობდა მდ. ლიახვიდან გამოყვანილი სარწყავი არხით, მიწები ეკუთვნით სასულიერო უწყებას და მემამულეებს. ვარგისი მიწების რაოდენობა 300 დღიურს შეადგენდა. სოფელში არსებული ციხე-სიმაგრე თავად ფავლენიშვილის საკუთრებას წარმოადგენდა. მოსახლეობის ძირითადად მიწათმოქმედებას და მებაღეობა-მევენახეობას მისდევდა [ალიმბარაშვილი, 2021:465-469].

ქვემო ხვითში ცხოვრობდნენ: აზნაური ბეცია ეგნატაშვილი, პაპუნა და გლახა მეტრეველები, გლახა და სოსია ჭადაურიძეები, სოსია, პეტრე, ნინია და გოგია ლაცაბიძეები, ბერძენა, გოგია, კირილე, ნინია, გიორგი და პეტრე ბითაძეები, გლახა მაღრაძე, სოსია საგიაშვილი, პაპუნა მანუჩაძე, გოგია და კვირია მაისურაძეები, გაბრიელ, სიმონ და დავით იალგუზიძეები, ზურაბ და ნინია ზაზიაშვილები, კაცია ბუჩაიძე, პეტრე მარგოსიაშვილი, ნინია შერიგიაშვილი, ნინია მოახლიშვილი, ნინია მეტრეველი, გიორგი მარგველაშვილი, ოთარ ვარძელაშვილი, გიორგი ლომიტაშვილი, ტეტია სალამაძე, ზაქარია, ტეტია, გრიგოლ და ბერი ბასილიძეები, ბეჟან გოგინაშვილი და შიო საბანაძე, სულ: 124 მამაკაცი და 86 ქალი. მებატონეთაგან მითითებულია: ელიზბარ და ლუარსაბ თაქთაქიშვილები, ომან და დავით ხერხეულიძეები, დავით მაჩაბელი და აზნაური ჩერქეზ ჩერქეზოვი (ჩერქეზიშვილი). სოფლის აღწერაში განმარტებულია, რომ მოსახლეობა სარგებლობდა ლიახვიდან გამოყვანილი სარწყავით და ფალავანდიშვილების საკუთრებაში არსებული ტყით. სახნავი მიწების რაოდენობა 900 დღიურს შეადგენდა, აქედან ბაღ-ვენახები გაშენებული იყო 26 დღიურ მიწაზე. სოფელში 2 ერთთვლიანი წისქვილი არსებობდა. აღწერაში მითითებულია ორი მცირე ზომის კოშკი. ხვითის მოსახლეობა მიწათმოქმედებას და მებაღეობა-მევენახეობას მისდევდა [ალიმბარაშვილი, 2021:670-475].

1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით, ხვითის მოსახლეობა საგრძნობლად გაზრდილა. ზემო ხვითში 84 კომლი ცხოვრობდა (მამაკაცი-227, ქალი 184, სულ 411), ხოლო ქვემო ხვითში - 93 კომლი (220 კაცი, 193 ქალი, სულ 413 სული). ეთნიკურად ყველა ქართველი და მართლმადიდებელი აღმსარებლობის იყო. მაცხოვრებელთაგან მეტი წილი საეკლესიო უწყებას ეკუთვნოდა (ზემო ხვითში - 52 კომლი, ქვემო ხვითში - 41). ზემო ხვითში 10, ხოლო ქვემო ხვითში 20 კომლი ეკუთვნის სახაზინო უწყებას, შესაბამისად, ზემო ხვითში 20 და ქვემო ქვითში 17 კომლი - კერძო მემამულეებს, ან ხიზნები არიან [Свод, 1893:№1398;1399].

ხვითის მფლობელობის საკითხისათვის. ხვითის მებატონეები, ძირითადად, თაქთაქისძეები (თაქთაქიშვილები) იყვნენ, თუმცა, აქ ყმები ჰყავდათ ხერხეულიძეებს, რომელთა რიცხვში იყო ერეკლე II-ის მდივან მწიგნობარი და ლაშქარნივისი ომან ხერხეულიძე [დოლიძე (VIII), 1985:296-297]. რუსული ხელისუფლების პირობებში ხერხეულიძეებს ყმათა რაოდენობა ხვითში საგრძნობლად შემცირდა. ციციანოვის მიერ 1803 წლის 28 მარტს შედგენილი მოხსენებიდან ჩანს, რომ ხერხეულიძეებს ამ დროისათვის ხვითში მხოლოდ 4 კომლი ყმაჰყავდათ [Акты, 1868:550].

ერეკლე მეორეს ხვითი ქაიხოსრო აბაშიძისათვის უწყალობებია. რომელსაც, თავის მხრივ, მძიმედ დაავადებულს, 1792 წელს საკუთარი შვილების, ძმებისა და ძმისშვილებისათვის გადაუცია ,,საძმოდ“ანდერძით [დოლიძე (VIII), 1985:920-921].

ხვითში მამულები ჰქონდათ სამეფო კარზე დაწინაურებულ თუმანიშვილებსაც. სულხან თუმანიშვილის ვაჟს საკუთარ მამულში კოშკიც კი აუგია ზემო და ქვემო ხვითი საზღვარზე [დოლიძე (VIII), 1985:977-778].

აქ ყმა-მამული გააჩნდა ქართულ ეკლესიასაც. XVIII საუკუნის II ნახევრის,,სახასო და სააზნაურშვილი გლეხების“ კათალიკოსის დავთარში ხვითში მითითებულნი არიან: ,,ქ. მოხელი ტუსიაშვილი სვიმონ, ბეჟან და ზურაბ ელიაშვილები“ [დოლიძე (III), 1970:991].

ხვითში 1 კომლი გლეხი ეკუთვნოდა ერეკლეს მეორის ასულს-მარიამ ბატონიშვილს, რაც დასტურდება ციციანოვის მიერ შინაგან საქმეთა მინისტრის გრაფი კოჩუბეისადმი 1803 წლის 27 ივნისს წარდგენილი უწყისით. [Акты, 1868:80].

აღწერების მიხედვით, ხვითში ყველაზე მეტი ყმა ჰყავდათ მაჩაბლებს. 1804 წლის კამერალური აღწერით, ისინი ხვითში 42 კომლ ყმას ფლობდნენ [სოსიაშვილი, 2021: 550].

ურთიერთობა იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან. ხვითის მიმდებარე ტერიტორია ჯერ კიდევ XVII საუკუნეში იერუსალიმის მაცხოვრის წმინდა საფლავის ეკლესიისათვის ვინმე დაღლაძეს შეუწირავს. აღნიშნული შეწირულობა კი 1624 წელს სვიმონ II-ს განუახლებია. საბუთში ვკითხულობთ: ,,მერმე დაღლაძისაგან ქრისტეს საფლავისათვის რხუითის ბოლოს მიწები აქვს შეწირული და იმის წიგნები დეკანოზს იოვანეს აქვს. რაც იმ წიგნებში მიწები ეწეროს, ჩვენც ის შეგვიწირავს“ [ხუციშვილი, 2006:31].

როგორც ჩანს, ადგილობრივი მებატონეები ხვითის მამულების დასაკუთრებას ცდილობდნენ. ამის გამო, სვიმონ II იძულებული გამხდარა სპეციალური ბრძანება გამოეცა: ,,(ხვითის მამული - ი. ა.) ჩვენც შეგვიწირავს და ნურა კაცი ნუ ეცილებით და ნურცა შეეცილებით თუ არა და ჩვენად შეცოდებად მოვიკითხავთ იცოდეთო“ [ხუციშვილი, 2006:124].

ვფიქრობთ, ხვითის მამულები მაცხოვრის საფლავს შედარებით ადრეც ეკუთვნოდა. მხედველობაში გვაქვს ზემოთ მოტანილი 1573 წლის საბუთი, რომლის მიხედვით, ხვითში მდებარე მარტუილოზასშვილის მამული ნიქოზის ეკლესიისადმი შეუწირავთ. საბუთში ნახსენები ფრაზა ,,უფლისურისა შემწირველისა კერძი ნახევარი მამული“ [ბერძენიშვილი (I), 1940:8-9], სავარაუდოდ, ამ კუთვნილებაზე უნდა მიუთითებდეს.

ღვთისმშობლის ეკლესია ქვემო ხვითის ღვთისმშობელი დარბაზულ ეკლესიას წარმოადგენს, გარს აკრავს გალავანი, რომლის ნაშთებია დღეისათვის შემორჩენილი. ეკლესია ნაგებია რიყის ქვითა და ქართული აგურით, დასავლეთის შესასვლელში გამოყენებულია ორი ჩუქურთმიანი ქვა. დასავლეთით და სამხრეთით თაღოვანი შესასვლელები აქვს, პერანგი მთლიანადაა შელესილი ცემენტიანი ხსნარით, რაც საბჭოთა პერიოდის ნამოქმედარი უნდა იყოს. მხოლოდ აღმოსავლეთ და სამხრეთის წარწერებთანაა ადგილი დატოვილი, რაც შესაძლებელს ხდის წარწერების წაკითხვას. აღმოსავლეთის კედელთან კედლის ნალესი კედლის ჩათვლით მნიშვნელოვნადაა სიმაღლეზე ჩარღვეული.

სამხრეთის მხარეს ეკლესიას ორი სარკმელი აქვს, დასავლეთით და აღმოსავლეთით - თითო-თითო.

დასავლეთის შესასვლელთან ეკლესიის თავზე მოგვიანებით აგურით მიუშენებიათ ოთხკუთხივ თაღებით გახსნილი სამრეკლო.

წმ. ნიკოლოზის ეკლესია ქვემო ხვითში 1794 წელს, ბერი ბასილიძეს უდროოდ გარდაცვლილი ვაჟის სულის საპატივსაცემოდ აუგია.აღსანიშნავია, რომ თაქთაქიძეებს ბასილიძისათვის ღვთისმშობლის ეკლესიასა და მის მიმდებარე სასაფლაოზე შვილის დაკრძალვის ნებართვა არ მიუციათ. ბასილიძეს მათთვის დიდი რაოდენობით თანხა და საჩუქრები შეუთავაზებია, თუმცა უშედეგოდ. ბასილიძე იძულებული გახდა, შვილი სოფლის გარეთ, მინდორში დაეკრძალა. სწორედ იქვე გადაუწყვეტია ეკლესიის მშენებლობა, რის სანაცვლოდ მეფისაგან ადგილობრივი ბეგარა-გადასახადისაგან გათავისუფლება მოუთხოვია და თანხმობაც მიუღია. 1794 წლის 29 ოქტომბერს ბერი ბასილიძე ერეკლე II-ს მიმართავს:*„ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ჭირი მოსცეს ომან ხერხეულიძის ქვემო ხვითელს ბასილიძე ბერს და მის ბიძაშვილებს გლახას, ივანეს და მოსეს.*

მერე ამას მოვახსენებთ მათს უმაღლესობას. ღმერთმა ამისთანა საქმე თქვენს მტერს მოჰგვაროს, ჩვენ საქმე მოგვივიდა. ამ ზაფხულს ოცდაორის წლის ვაჟი კაცი შვილი მომიკვდა და თაქთაქიძიანთ

კაცებმა არც საყდარში დაგვამარხვინეს და არც საყდრის გარეთ სასაფლაოში, ერთი კარგი ცხენი ვაძლივე საფლავის ფასათ და არა ჰქნეს. მასუკან კიდევ ერთი სტამბოლის თოფი ვაძლივე, ხუთ-ექვს თუმანი ღირს, მაგრამ გარეთაც არ დაგვამარხვინეს, საყდრის სიახლოვეს.

წავიღევ და სოფლის გარეთ ერთს მინდორში დავმარხე. ღმერთმა ისე თქვენი მტერი შეაწუხოს, როგორც ჩემი გული ამან შეაწუხა და ამის მეტი წამალი ვერ მოვიგონე რა ჩემის თავისთვინა, როგორც იქნება ჩემს თავს გავყიდი და ერთს საყდარს ავაშენებ.

თქვენგან ამის მოწყალების მეტი არა მინდა რა, რომ რაც უბრალო სოფლის ბეგარა მოვიდეს, ან სხვის შველა, ან სხვის უბრალო კაცის შენობაზე მოჴმარება, ან ჴვნა, - ამაში არავინ გაგვრიოს მე და ჩემი ორიოდ სამი ხიზანი და რომელიც საერთო საქვეყნო ხარჯი იქნება იმაზე კი თავს არ გაწყენთ, თვინობისთვის კთ, ქორონიკონს უპბ.

თუ წლევანდელი სურსათიც გვეპატივება, ხომ დიდი წყალობა იქნება, და თუ არადა, ჩვენი თავი თქვენის ჭირის სანაცვლო იყოს. იმ საყდრის იქ აშენება საუკუნოდ თქვენი მოსახსენიებელი იქნება.

ქვემო ხვითის წმ. ნიკოლოზის ეკლესია აგებული ბერი ბასილიძის მიერ საკუთარი ვაჟის სულის მოსახსენიებლად და საფლავები ეკლესიის შიგნით

ერეკლე: *ქ. ჩვენი ბრძანებაა, რომელიც წელს სურსათის მოასილნი იმყოფებოდეთ, ამ არზის პატრონს ორი კვამლისათვის საყდრის*

ასაშენებლად თქვენი შენაწერი სურსათი გვიპატივებია და როგორც ამ არზით უთხოვნია, ვინემდის საყდარს ააშენებდეს ამათი არც სოფლის ბეგარასა და არც სხვას საშველად მუშაობაში გარევა არ იქნება ...სურსათი კი საყდარს შევსწირეთ ეკლესიას წლეულობით" [დოლიძე (VIII), 1985:296-297].

სოფელში ასევე დგას **წმ. ბარბარეს** ეკლესია. იგი 1996 წელს აშენდა ბორისო საგიაშვილის ინიციატივითა და ადგილობრივი მოსახლეობის შეწევნით [ბითაძე, 2019:13].

ზემო ხვითის ძეგლებიდან აღსანიშნავია სამებისა და წმინდა გიორგის ტაძრები. **სამების ეკლესია** დგას სოფლის განაპირას, ჩრდილო-დასავლეთით, სოფლის სასაფლაოს აღმოსავლეთით. სავარაუდოდ, მიეკუთვნება გვიან ფეოდალურ ხანას. იგი დარბაზული ტიპისაა, ნაგებია ნატეხი ქვით, კუთხეები, სარკმლის საპირეები და ლავგარდანი ტუფის ქვისაა. სამხრეთ და დასავლეთ კედლებში თითო თაღოვანი სარკმელია. სამხრეთის ფასადზე, სახურავის დასავლეთ ნაწილში მოგვიანებით დაუშენებიათ ოთხივე მხრიდან თაღებით გახსნილი სამრეკლო, რომელიც კვადრატული აგურითაა ნაგები [საქართველოს, (V) 1990:70].

წმინდა გიორგის ეკლესია დგას სოფლის განაპირას, აღმოსავლეთით. სავარაუდოდ, თარიღდება გვიან ფეოდალური ხანით. დარბაზულია (12,2X7,2მ.). ნაგებია ნატეხი ქვით. შენობის კუთხეები, კარის და სარკმლის საპირეები ტუფის ქვისაა. სახურავი ორფერდაა, გადახურულია ღარიანი კრამიტით. ეკლესია დასავლეთის მხრიდან მიდგმული აქვს კვადრატული აგურით ნაშენი ორიარუსიანი, ოთხ სვეტზე დაყრდნობილი სამრეკლო [საქართველოს, (V) 1990:70].

ქვემო ხვითის წმ. გიორგის ეკლესია (ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან)

თავდაცვითი ნაგებობები. 1800 წელს ზემო და ქვემო ხვითის გასაყარზე, საკუთარ მამულში კოშკი აუგია სულხან თუმანიშვილის (მდივნის) ვაჟს ესავ თუმანიშვილს. ბრძანება კოშკის მშენებლობაზე ჯერ კიდევ ერეკლე II-ს გაუცია, რადგან ,,ქვეყნის შესამატი რამე" იყო, ამის გამო ხვითის მიმდებარე სოფლებსაც ჰქონიათ გადასახადები გაწერილი. როგორც ჩანს, სოფლების ნაწილი თავს არიდებდა ვალდებულებების შესრულებას, რის გამოც კოშკის მშენებლობა შეფერხებულა. ამასობაში ერეკლეც გარდაიცვალა და ესავ თუმანიშვილი იძულებული გახდა 1800 წლის 9 ოქტომბერს გიორგი XII-სათვის მიემართა: ,,ხვითსა და ხვითს შუა ჩვენი მამული არის და სანატრელის მეფის მოწყალებით კოშკის გაკეთებას ვაპირებთ. იმისის ოქმით, რომელს სოფელსაც რამდენი ურემიც აწერიათ საშენებელი ქვა და ქვიშა, ზოგს სოფელს მოუტანია და ზოგს აკლია და ზოგს სოფელს სულ არ მოუტანია.

წყალობას ვითხოვ, როგორც იმის შეწერილს სახელდობ სოფლებს ესწეროს, ვისაც აკლდეს ოქმი და იასაული გვებოძოს, რომ მოიტანონ, რაც აწერიათ. ქვეყნის შესამატი საქმე რა იქნება. როგორც ნაბრძანებია, იასე აღასრულონ“.

გიორგი XII-ს ბრძანების შესრულებაზე კონტროლი გიორგი აბაშიძეს დაავალა: ,,ქ. ჩვენი ბრძანება არის აბაშიძე გიორგი! მერე ამ სულხან მდივნის შვილებს როგორც კურთხეულის მეფის ბატონის მამის ჩვენის ოქმი ჰქონდესთ და რომელსაც სოფლებს ამ კოშკზე მოხმარება და მოუშაობა ეწეროსსთ, ისე უკლებრივ კიდევ ახლა გაურიგე და მოახმარე“ [დოლიძე, (VIII) 1985:667-668].

კოშკი ცილინდრული ფორმისაა, ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. შესასვლელი ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან აქვს. აღმოსავლეთ კედელზე დატანებულია მეორე სართულზე ასასვლელი კიბე. სამხრეთის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებში ჩატანებული აქვს სათოფურები [საქართველოს, (V) 1990:115]. დღეისათვის შემორჩენილია დაზიანებული სახით, მხოლოდ კოშკის პირველი სართული.

თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობა ხვითში ლეკთა შემოსევების გააქტიურებას უნდა უკავშირდებოდეს და ეს სიმაგრეები ქართველების დაღესტნელ ფეოდალებზე ორი მნიშვნელოვანი გამარჯვების მოწმეა. ჯერ კიდევ 1754 წელს დაღესტნელთა დიდი ჯარი შემოვიდა შიდა ქართლში ზეუბეიდალას ბელადობით. პაპუნა ორბელიანის ცნობით: ,,დაარბევეს პატარა ლიახვის შეყოლება, საცა რამ შენობა იყო, დაწვეს კულბითის გარშემო“ [ცაგარეიშვილი,1981:199]. ერეკლემ დაღესტნელებთან ბრძოლა კონსტანტინე მუხრანბატონს მიანდო, რომელიც იმ დროისათვის საქართველოში მოწვეულ ჩერქეზის ჯარს გამოუძღვა და ხვითში დაბანაკდა. აქ ჯიმშერ არაგვის ერისთავი, გივი ამილახორი (შაჰყული ხანი) და ამირინდო ამილახორი წამოეშველნენ და ლეკებს კულბითის ბოლოს შეებნენ: ,,ამოსწყვიტეს მრავალი ლეკი, მიჰყვნენ ორბოძლის მთის ძირამდის, გამობრუნდნენ გამარჯვებულნი მრავლის ნაშოვრით ჩერქეზნი და ქართველნი, ჩამოხდენ ისევ ხვითს“ [ცაგარეიშვილი,1981:200].

დაღესტნელთა თავდასხმები ამით არ დამთავრებულა. ცნობილია, რომ რუსეთ-თურქეთის ომის (1768-1774 წწ.) ომის მიმდინარეობისას, რუსი დიდმოხელის ივანე ლვოვის რჩევით, ერეკლე II-მ 1771 წელს ხერთვისზე ილაშქრა, ციხე აიღი და მრავალი ტყვე-ნადავლი წამოიღო. ამის საპასუხოდ, ახალციხის ფაშამ ოსმალთა და ლეკის ჯარი გამოუსია ქართლს. როგორც ომან ხერხეულიძე გადმოგვცემს: ,,ეს ჯარი რა ხვითის სოფელს მოუხდა და ამ ზემო მინდორზე ჩაფაული გამოუშვეს“ [მიქიაშვილი,1989:63]. ერეკლე იმ დროისათვის ცხინვალში იდგა, ,,მოასწრო სწრაფად მეფემ ირაკლი სოლთვისი მინდორზედ, დაამარცხა ოსმალ-ლეკნი და მრავალნი მოსწყვიდნეს და ლტოლვილნი ოსმალ-ლეკნი ავიდნენ აღსიხას (იგულისხმება ახალციხე - ი. ა.)“ [მიქიაშვილი,1989:63-64].

როგორც ზემოთ ვნახეთ, ომან ხერხეულიძე ხვითის მებატონე იყო და ბრძოლები, მის მამულში ხდებოდა, ამიტომ თავდაცვითი ნაგებობის მშენებლობით იგი უშუალოდ იქნებოდა დაინტერესებული.

ერეკლე II-ეს მიერ 1772 წლის 28 აგვისტოს გამოცემული ,,სამდევროების“ განჩინებით, რომელიც ასევე ლეკთა თავდასხმების წინააღმდეგ იყო მიმართული, ხვითი მესამე სამდევროში იყო გაერთიანებული დიდი ლიახვის სხვა სოფლებთან (ძარწემი, ქურთა, თამარაშენი, ცხინვალი, ნიქოზი, ფხვენისი, შინდისი) ერთად. დიდი ლიახვის ხეობიდან ლეკების თავდასხმის შემთხვევაში მათ მეორე სამდევრო (პატარა ლიახვის მიმდებარე სოფლები) უმაგრებს ზურგს. თავის მხრივ, ძამას ხეობიდან

წამოსული მტრის შემთხვევაში ხვითელები, მესამე სამდევროს სხვა სოფლებთან ერთად, ვალდებულები იყვნენ დირბის წყლის სოფლებს დახმარებოდნენ [ალიმბარაშვილი, 2008:44-49].

ქვემო ხვითის წარწერები და ეპიტაფიები

ღვთისმშობლის ეკლესიის წარწერები. ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადის სარკმლის თავზე გამოსახულია განედლებული ჯვარი[საქართველოს, (V) 1990:115], რომლის ზედა მარცხენა და მარჯვენა კუთხეებში ორსტრიქონიანი ასომთავრული ღრმად კვეთილი წარწერაა:

ქე შე სრქრი
ბუა მღდლი
ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე ს(ა)რქ(ა)რი[5]
ბ(ერ)უ(კ)ა(?) მღ(ვ)დ(ე)ლი

[5] სარქარი (სარქალი) ,,სამუშაოსთვის თავსდამდგომად რწმუნებული", ანუ ,,მუშათუხუცესია". სარქლის თანამდებობა ამ პერიოდის ქართლში სხვა წარწერებშიც დასტურდება, მაგ. 1669 წელს სარქალ მელქან ფურცხვანიძეს აუგია სხალტბის (მცხეთის მუნიციპალიტეტი) ეკლესია [საქართველოს, (V) 1990:310] .

კითხვას ბადებს მეორე სტრიქონში დაქარაგმებული სახელი, რადგან თავკიდურ ,,ბ“-სა და ბოლოკიდურ ,,ა“-ს შორის მოქცეული გრაფემა გამოკვეთილი არ არის, ამიტომ ქარაგმის გახსნა ძნელდება. არ გამოვრიცხავთ, რომ მეორე გრაფემა ,,უ“ იყოს, რომელიც საწყის ,,ბ“-შია შეწიაღებული. ამ შემთხვევაში შეიძლება ქარაგმა გაიხსნას, როგორც ,,ბერუკა“, ან ,,ბერაუკა“. ამ პერიოდის (XVII ს. II ნახევარი) ქართლში, გივი ამილახორისა და მისი თანამეცხედრის თამარის ინიციატივით, ანჩისხატის განახლების წარწერაში მოხსენიებულია ,,სარქარი ლოლაძე ბერაუკა“[6].

ღვთისმშობლის ტაძრის სამხრეთის კარის თავზე, სქლად შელესილ კედელში ჩადგმულია მოზრდილი ფილა, (სიმაღლე 0,70 სმ, სიგანე - 1 მ) რომელშიც ამოკვეთილია 8 სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. ასოების კვეთის სიღრმე მაღალია, ამიტომ წარწერა გარკვევით იკითხება. გრაფემების სიგრძე, დაახლ. 4 სმ. სიგანე 1,5 სმ, განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ სამ-სამი წერტილია დასმული. ხშირადაა გამოყენებული ქარაგმა. წარწერის ამომკვეთელს აქტიურად მიუმართავს შეწიაღებული ასოებისათვის, რის შედეგად, გრაფემები ხშირად გადადის ერთმანეთში,

[6]თვით წარწერა შემდეგი შინაარსისაა: ,,*ჰსახიერო და სამნათელო სამებაო და ერთარსებაო, მამაო ძისაგან განუშორებელო, და ძეო მამისა თანასწორო და სულო წმინდაო ორთავე შორის ცხოვრებაო, ყოველთა ხილულთა და უხილავთა წამის-ყოფით მაარსებელო და შემოქმედო, - ჩვენ მსასოებელმან და სურვილით თქვენდა მონდობილმან ძემან იოთამ ამილახორისამან, თვით ამილახორმან გივმან და თანამეცხედრემან ჩვენმან ქართველთა მეფის შაჰნავაზის ასულმან თამარ და ძემან ჩვენმან ანდუყაფარ და დემეტრემ - ოდეს ვიხილეთ ანჩისხატი ჟამთა ვითარებისაგან ქართლში ჩამოსვენებული, მოჰხდა საქმე, რომ ბევრსხანს ჩვენს სახლში ესვენა და მისის საფარველითა და შემწეობითა მრავალს ძნელს ავადყოფასადა განსაცდელს განვერენით და ვითაც კარები არა ჰქონდა, ვიწადინეთ და კარები მოვაჭედინეთ და გავაკეთეთ, რათა შემწე გვეყოს ორთავე შინა ცხოვრებათა ძით და ასულით ჩვენით. იყოს მადლი დაცვა-ფარვა თქვენი ჩვენზედა. გაკეთდა კარები ესე მეფობასა მეფეთ-მეფისა გიორგისასა, ინდიკტიონსა მეფობისა მეშვიდესა, ქორონიკონსა ტოდ (=1686 წ.) ამისი სარქარი ლოლაძე ბერაუკა, ღმერთმან შეუნდნეს*“ [საყვარელიძე, 1987:189] .



რაც წარწერას ვიზუალურ ეფექტს აძლევს, მაგ., ,,ა“-ში მოთავსებულია ,,ღ“, ,,ც“-ში - ,,დ“, ,,დ“-ში ,,ა“ და ,,ს“ და სხვ.

წარწერა შემდეგი შინაარსისაა:

,,1. წ[მინდ]ისა ადამ დო სეძ[ე]ლისა (?) აღმ[არ]თ[ე]ბო და ევ[ა]ს მწუხ[ა]რ[ე]ბისა გან

2. აქ[ა]რვებ[ე]ლო დაოს[ა]ბ[ა]მ[ო]სა ღ[ვ]თისა გ[ა]ნზრახვით განჩინ[ე]ბოლ და ძისა

3. მისისა ჯ[ეშმარიტა]დ მშ[ო]ბ[ე]ლო, შ[ე]ნ[7] ჴსნისათ[ჯ]ს ჩ[უე]ნისა შუ[ა]მდგომ[ე]ლ იქმ[ე]ნ

4. და მეოხარ ჩ[უე]ნ ც[ო]დვილთათ[ჯ]ს, შ[ე]ნ[8] ყ[ოვლა]დ წ[მინდა]ო ღვთისმ

5. შობ[ე]ლო, მსასოებელმ[ა]ნ შ[ე]ნმ[ა]ნ თ[ა]ქთ[ა]ქისძემ მრ[ოე]ლმან ი[ოან]ე[9] აღვა

6. შენე ს[ა]ყდ[ა]რი ესე ვრ[ე]ძისა[10] ღთის მშობელისა მეტ[ო]ქად ჩ[უე]ნ[ი]ს ნას

7. ყიდს ალაგზედა ც[ო]დვ[ა]თა ჩ[უე]ნთა შ[ე]სანდ[ო]ბლად და ძმათა ჩ[უე]ნთა

8. არდაშელ, ფილიპე და ელისბარის სადღეგრძელოთ, ქ[ორონი]კ[ონ]ს ტნ“ (=1662 წ.).

წარწერა პირველად წაიკითხა და გამოაქვეყნა პროფ. ჯონდო გვასალიამ 1982 წელს. თუმცა, საინტერესოა, რომ წარწერას იგი მხოლოდ მეორე სტრიქონის მეორე სიტყვიდან გვთავაზობს.

---

[7] ჯ. გვასალია კითხულობს, როგორც ,,რომელი”, [გვასალია (VI), 1982:47]

[8] ჯ. გვასალია კითხულობს, როგორც ,,შეუნდვენ” [გვასალია (VI), 1982:47].

[9] წარწერაში ამ ადგილას ,,ი~ე“ ქარაგმაა. ჯონდო გვასალია კითხულობს, როგორც ,,იოანე“, თუმცა, ფრჩხილებში ათავსებს მეორე სახელსაც - იესე [გვასალია (VI), 1982:47]. წარწერის თანადროული მსგავსი ქარაგმების უმეტესობა იხსნება როგორც ,,იოანე“. ჩვენც ამ ფორმას ვიყენებთ.

[10] ჯ. გვასალია კითხულობს, როგორც ,,ბრძანებისა“ [გვასალია (VI), 1982:47].

ასევე ბუნდოვანია, მესამე სტრიქონში მის მიერ წაკითხული ,,რომელი“ - ,,შ[ე]ნ“-ის ნაცვლად და მეოთხე სტრიქონში წაკითხული ,,შეუნდვენ“ - ,,შ[ე]ნ“-ის ნაცვლად. ასეთ შემთხვევაში წარწერის ავტორი დააქარაგმებდა ,,შნდვნ“ და არა ,,შნ“.

მეექვსე სტრიქონში, ჩვენი აზრით, უნდა წავიკითხოთ ,,ვრეძისა“ და არა ,,ბრძანებისა“, როგორც კითხულობს ჯ. გვასალია. სიტყვის პირველი გრაფემა აშკარად ,,ვ“-ა, რომელიც ,,რ“-ში გადადის. შემდეგ უზის ქარაგმის ნიშანი. ხოლო მომდევნო გრაფემა რომ ,,ძ“-ა, ბოლო სტრიქონიდან აშკარად ჩანს (,,სადღეგრძელოდ“). ამდენად, გრაფემაშა შეერთებით ვიღებთ ,,ვრძისა“, რაც ქარაგმის გახსნით გვაძლევს ,,ვრეძისა“ და არა - ,,ბრძანებისა“.

როგორც წარწერიდან ირკვევა, ტაძარი 1672 წელს, მროველ ეპისკოპოს იოანე თაქთაქისძეს თავისივე ნასყიდ ადგილში საკუთარი და ძმების: არდაშელ, ფილიპე და ელისბარის ,,ცოდვათა შესანდობლად“, ვრეძის ღვთისმშობლის ,,მეტოქად“ აუგია.

სავარაუდოდ, ვრეძის ღვთისმშობელში იგულისხმება ბრეძაში არსებული ეკლესია, რომელიც ქარელის მუნიციპალიტეტში მდებარეობს და მროველთა სამწყსოში შედიოდა.

რაც შეეხება ხვითისა და თირის მონასტრის ურთიერთობას, ხვითის მოსახლეობა ხვითის ღვთისმშობელს დღესაც თირის მონასტრის დად მოიხსენიებს [ბითაძე, 2019:10]. თირის მონასტერი თაქთაქისძეების საძვალეს წარმოადგენდა და იოანეს გარდაცვალების შემდეგ ,,მროველობა“ მის მომდევნო ძმას ფილიპეს მიუღია. თირის მონასტრის ჩრდილო მინაშენის დასავლეთის კარის ტამპანის მოზრდილ ქვაზე გამოსახულია ჯვარი, რომლის მკლავთა ირგვლივ მხედრული წარწერაა, სადაც ვკითხულობთ: *,,ქრისტე შეწევნითა ღვთისათა, მეოხებითა თავდების ღვთისმშობელისათა. ჩუენ - თაქთაქისძემ, მროელ ეპისკოპოზმან ფილიპემ, არდაშელმა, ჩემან ელიზბარ, აღვაშენეთ საყდარი ესე წმინდისა ნიკოლოზისა სულისა ჩვენისა სახსრად, ოდეს ბედნიერის ხელმწიფისაგან ჩვენს ნათესავთა სასაფლაოდ, სამკვიდროდ, სამამულოდ მოსცემოდა ესე მონასტერი, მამა-პაპა მარხულ იყვნეს, მათი მოშლა აღარ იქნებოდეს, ეკვდერი აღვაშენეთ სასაფლაოს შეუმატეთ, ქორონოკონსა ტო“* [ანდღულაძე (VI), 1969:204].

როგორც წარწერიდან ჩანს, თირის წმინდა ნიკოლოზის ტაძარი, მროველ ეპისკოპოს ფილიპეს აუგია 1682 წელს, ძმებთან: არდაშელთან და ელისბართან ერთად. როგორც აღვნიშნეთ, ხვითის წარწერაში მოხსენიებული უფროსი ძმა იოანე ამ დროისათვის გარდაცვალებული უნდა იყოს, რადგან თირის წარწერაში აღარ იხსენიება და მროველობა მომდევნო ძმაზე - ფილიპეზე გადადის. ხომ არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ წარწერის ფრაზა ,,ჩემან ელისბარ“, ნიშნავს ,,ძემან ელისბარ“, ან ,,ძემან ჩემან ელისბარ“. ამ შემთხვევაში ელისბარი, ფილიპესათვის ძმა კი არა,ძე გამოდის, მაგრამ ხვითის წარწერაში გარკვევითაა მითითებული, რომ არდაშელი, ფილიპე და ელისბარი, იოანეს უმცროსი ძმები არიან. იოანეს საბოლოო განსასვენებელიც თირის მონასტერი უნდა იყოს. ფილიპე თაქთაქისძის წარწერაში საგანგებოდაა ხაზგასმული: ,,ბედნიერის ხელმწიფისაგან ჩვენს ნათესავთა სასაფლაოდ, სამკვიდროდ, სამამულოდ მოსცემოდა ესე მონასტერი, მამა-პაპა მარხულ იყვნეს, მათი მოშლა აღარ იქნებოდეს, ეკვდერი აღვაშენეთ სასაფლაოს შეუმატეთო“.

მროველი ეპისკოპოსი ფილიპე თათქარისძე XVII საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი პირია. გარდა ხვითისა და თირის წარწერებისა, იგი მოწმედ იხსენიება 1686 წლის ერთ საბუთში [ჟორდანია (II), 1897:504]. ასევე, საუკუნის ბოლოს გაცემულ დოკუმენტებში [ანდღულაძე (VI), 1969:204].

ვინ უნდა იყოს თათქარიძეებისათვის წყალობის მიმცემი ,,ბედნიერი ხელმწიფე“? ნ. ანდღულაძე თვლის, რომ მოცემულ პერიოდში ამგვარი ეპითეტით მხოლოდ ქართლის მეფე როსტომ ხანისათვის (1632-1658 წწ.) შეიძლებოდა მიემართათ [ანდღულაძე (VI), 1969:204].

ჩვენ საკითხის ამგვარ კატეგორიულად დასმას ვერ დავეთანხმებით. ტაძარში ფილიპე თათქარიძის მამა-პაპა მარხია, ანუ წყალობის გაცემის დრო აშკარად სცილდება ერთ თაობას, ამიტომ თათქარიძეებისადმი წყალობის გამცემი ,,ბედნიერი ხელმწიფე“ ადვილად შესაძლებელია, როსტომამდელი რომელიმე ქართველი მონარქი, ან სულაც ირანის რომელიმე შაჰი (შაჰ აბას I, შაჰ სეფი და სხვ.) ყოფილიყო, მსგავსი ეპითეტით ამკობს (,,ბედნიერი ხელმწიფე“) ამავე პერიოდით (1669 წ.) დათარიღებულ ერთ დოკუმენტში იმერეთის მეფე ბაგრატ IV (1661-1680) რუსეთის მეფე ალექსი მიხეილის ძე რომანოვს [Броссе, 1861:81-86]. ამგვარი ეპითეტით დაწყება ქართული ისტორიული საბუთების უმრავლესობისათვისაა დამახასიათებელი (,,ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მისცეს თქვენს მონას...“), ასე რომ ,,ბედნიერი ხელმწიფის“ ეპითეტი მხოლოდ როსტომს არ შეიძლებოდა რგებოდა, მით უფრო, რომ თაქთაქისძე საბუთში წყალობის დროსა და მწყალობელს არ აკონკრეტებს.

სამების ეკლესიის წარწერები

ეკლესიის კარის თავზე თაღში ოვალურად ამოჭრილია სამსტრიქონიანი ასომთავრული სამშენებლო წარწერა, რომელიც შემდეგი შინაარსისაა:



1.წ(ი)ისა ამის: სმ(ა)ბსა აღმშ

2.შ(ე)ნებ(ა)ელსა ის და მშ(ო)ბ(ელ)თა

3.მ(ი)ისთა შ(ე)ნს ღ(ერ)ნმ(ა)ნ

ქარაგმების გახსნით, წარწერა შემდეგი შინაარსის იქნება:

1.წ(მინდ)ისა ამის: ს(ა)მ(ე)ბსა აღმშ

2.შ(ე)ნებ(ა)ელსა ი(ოან)ეს და მშ(ო)ბ(ელ)თა

3.მ(ი)ისთა შ(ეუ)ნ (დო)ს ღ(მერთ)მ(ა)ნ

ეკლესიის შესასვლელის მარჯვენა მხარეს, მიწიდან დაახლ. 1,60 სმ-ზე ორსტრიქონიანი ასომთავრული დაზიანებული წარწერაა

1. მ(ი)ისა ...ბ.....

2. 2.სა ....ლსა

წმინდა გიორგის ეკლესია

ეკლესიას წარწერები არ აქვს. ტაძრის აღდგენის დროს ერთადერთი წარწერიანი ქვა ჩაუტანებიათ სამხრეთის მთავარი შესასვლელის კარის საყრდენად. გარდა იმისა, რომ წარწერიანი ქვის შიდა ნაწილს კარი ფარავს და აღარ იკითხა წარწერიანი ქვა მნიშვნელოვნადაა დაზიანებული ცემენტის ხსნარით და გხოლოდ გრაფემების ფრაგმენტებიღა იკითხება:

ე .....წ(მინ)დ(ა) გ(იორგი)
.....ე
.....მა
.....ლ.

ეპიტაფიები

ქვემო ხვითის ღვთისმშობლის ეკლესიის შიგნით 6 საფლავია, ძირითადად, XIX საუკუნეში გარდაცვლილი თაქთაქიძეების (თაქთაქიშვილების). ერთი მათგანი ეპიტაფიის გარეშეა. ზოგიერთი კარგად იკითხება, ზოგ მათგანზე წარწერის კვალი ძნელად ჩანს. ეკლესიის შესასვლელთან ახლოს, სამხრეთ კედლის სიახლოვეს სამი საფლავია. ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ კედელთან სიახლოვეს მდებარე საფლავის ეპიტაფიის წარწერა გადაშლილია და მხოლოდ გარკვეული ნაწილის წაკითხვაა შესაძლებელი:

(1) ქ. საფლავი ესე როს ...მლის სვ...
(2) მფაროვნობით თაქთაქოჯს ირაკლ ივი
(3) კავალერიის
(4) აღვსრულდი ორმოცდა ხუთის წლისა და მოველი
(5) მხილველთაგან შენდობას
(6) .....მ დღეს.

მის აღმოსავლეთის მსგავსი საფლავის ქვაზე წარწერა კიდევ უფრო მიმქრალებულია და მხოლოდ ფრაგმენტულად იკითხება:

(1) ...საფლავსა შინა მდებარე
(2) თაქთაქოვის ამი... დავი
(3).....
(4)...შენდობა მ
(5) ბძანეთ ..... მარტის

მომდევნო საფლავი წინა საფლავების აღმოსავლეთით მდებარეობას და პოდპორუჩიკ დავით ელიზბარის ძე თაქთაქიშვილს ეკუთვნის. ხუთსტრიქონიან ეპიტაფიას მარცხენა მხარეს ვერტიკალურად გარდაცვალების თარიღი აქვს მინიშნებული, რომლის მიხედვით, პოდპორუჩიკი დავით თაქთაქიშვილი 1850 წლის 14 სექტემბერს 50 წლის ასაკში გარდაცვლილა (ე. ი. დაბადებულა 1806 წელს):

(1) „საფლავი ესე არს პოდპორუჩიკის თ[ავა]დის დავით
(2) ელიზბარის ძის თაქთაქოვისა წუთი
(3) სოფლის დამთმობი მსწრაფლიადის
(4) სიკვდილით აღვსრულდი წლისან
(5) ვითხოვ შენდობა მიბრძანოთ წელს“

ვერტიკალურად ეპიტაფიის მარცხენა მხარეს მინაწერი აქვს: „ჩყნვ სეკტენბრის იდ დღე[სა]“.

ხსენებული საფლავის ჩრდილოეთით, ტაძრის ცენტრალურ ნაწილში მდებარე საფლავს ცენტრში ჩადგმული აქვს მცირე მარმარილოს ფილა, ორ სტრიქონიანი წარწერა დაზიანებულია, თუმცა

წარწერიდან ირკვევა, რომ ვინმე თამარს ეკუთვნის და, სავარაუდოდ, ასევე თაქთაქიშვილების (თაქთაქიძეების) წარმომადგენელია.

(1) აქა განისვენებს გვამი .... შვილი

(2) თამარ [გარდავიცვალე] ...იანვარს 1890 წელსა შობითგან .... წლისა".

ტაძრის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს არდაშელ თაქთაქიშვილის მეუღლის თამარის საფლავი, რომელიც 95 წლის ასაკში 1880 წელს გარდაცვლილა (ე. ი. დაბადებულა 1785 წ.):

,,1.აქ განისვენებს გვამი თავადი არდაშელ თაქთაქოვის

2.მეუღლე თამარ

3.რომელიც გარდაიცვალა

4.1 იანვარს 1880 წლისა

5.შობითგან 95 წლისა"

ტაძრის შესასვლელთან დასავლეთით ორი საფლავია, რომელიც ეკლესიის საძირკველთან მიწის მოჭრის შედეგად გამოჩნდა. ადგილობრივების გადმოცემით, სამარხები და-ძმას უნდა ეკუთვნოდეს. მარჯვნივ მდებარე საფლავი შედარებით მცირე ზომისაა. ეპიტაფიის ძირითადი ნაწილი დაზიანებულია და მხოლოდ ბოლო სტრიქონი და ბოლოსწინას ფრაგმენტი ჩანს, სადაც მითითებულია გარდაცვალების თარიღი- 1890 წელს. ხოლო მის ზემოთ ჩანს დაბადების თარიღიც 1887 წ.

შედარებით უკეთესადაა შემონახული ეკლესიის შესასვლელის ჩრდილოეთით მდებარე ორსტრიქონიანი ეპიტაფია:

(1) აქა განისვენებს გვამი თ(ავადის)ა ალექსანდრე საჩინოს ძე

(2) თაქთაქოჯს შობითგან 18 წლის

ტაძრის დასავლეთით ეზოში, მცირეწლოვანი თაქთაქიშვილის კიდევ ერთი საფლავია. საფლავის ქვაში ჩადგმული მარმარილოს ფილა გვაუწყებს:

(1) აქ განისვენებს გვამი კნიაგინა

(2) ელენე მიხეილ თაქთაქოვის ასულისა

(3) შობითგან 16 თვისა

ადგილობრივების გადმოცემით, საფლავი ეკლესიიდან არის გამოტანილი.

ქვემო ხვითის ღვთისმშობლის ტაძრის მიმდებარე სასაფლაოზე ძველი საფლავების უმეტესობაზე ტოტებშეკვეცილი ხეა ამოტვიფრული, რაც სიმბოლურად ნაადრევად შეწყვეტილი სიცოცხლის გამომსახველია.

ეკლესიაში თაქთაქიშვილების რამდენიმე საფლავია. უმეტესობა მე-19 საუკუნისაა. ეპიტაფიების მნიშვნელოვანი ნაწილი დაზიანებულია და აღარ იკითხება. ეკლესიის ჩრდილოეთით რამდენიმე ადგილზე გატეხილი საფლავის ქვაა, რომელიც დიმიტრი თაქთაქიშვილის მეუღლეს - ნინოს ეკუთვნის. იგი 1908 წელს 72 წლის ასაკში გარდაცვლილა (ე. ი. დაბადებულა 1836 წელს). საფლავის დაზიანებული ნაწილების მიხედვით, ეპიტაფია გვაუწყებს:

(1) აქა განისვენებს გვამი კნეინა

(2) ნინო ტროფიმეს ასული

(3) მეუღლე დიმიტრი თაქთაქიშვილის

(4) გარდაიცვალა 1908 წელს.

როგორც ჩანს, საფლავი ეკლესიის ჩრდილო კედელთან ახლოს მდებარეობდა და მიწის მოჭრისას დაზიანდა. ამავე საფლავის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს ეკლესიის ჩრდილო კედელში ჩადგმული მარმარილოს სამსტრიქონიანი ეპიტაფია, რომელიც ეკლესიის რესტავრატორებს ლესვისას უადგილოდ ჩაუსვამთ კედელში. ეპიტაფიის სამხრეთი ნაწილი დაზიანებულია და აღარ იკითხება:

(1) „აქა განისვენებს გვამი კნეინა ნინო ტროფიმეს ასული დიმიტრი

(2) თაქთაქიშვილის მე[უღლ]ე გარდავიცვალე 1908 წლის

(3) აპრილის 16-ს, ქრისტეს შობითგან 72 წლისა".

ეკლესიის ეზოში, ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთით ნინო მაჭავარიანის საფლავის ქვაა, ხის მოკვეთილი ტოტების გამოსახულებით, თავზე ადგას ორნამენტიანი ჯვარი. ცენტრალურ ნაწილში ჩადგმულია თეთრი მარმარილოს ფილა, სადაც ვკითხულობთ:

„(1)ნინო გიორგის ასული მაჭავარიანი 1862-1915.

(2)აი საფლავი ხალხის შვილისა, მისთვისვე იყო თავდადებული

(3)და მას შესწირა წრფელის გულითა,

(4)გრძნობა და სიყვარული.

(5)ძმობას, ერთობას, თავისუფლებას

(6)თვისი სიცოცხლე მან ანაცვალა,

(7)გზა ეკლიანი გზა გოლგოთისკენ

(8)ფუფუნებაში მან არ გასცვალა."

აქვეა შემორჩენილი სოფიო საჩალელის საფლავის ქვა, ხის ტოტებწაკვეთილი ტოტების გამოსახულებით, ცენტრალურ ნაწილში ამოკვეთილ ეპიტაფიაზე ვკითხულობთ:

„(1)სოფიო გაბრიელის ასული

(2)საჩალელისა, დაბადებული 23 წ.

(3)გარდაიცვალა1921 წ.

(4)ქრისტეშობის 21-სა".

აღნიშნული საფლავის სიახლოვეს არის ახალგაზრდა, 25 წლის ასაკში გარდაცვლილი ფოფოდია ელისაბედ კვინიკაძის საფლავის ქვა, რომელზეც ტოტებწაკვეთილი ხის გამოსახულებაა. ცენტრალურ ნაწილში ასეთი ეპიტაფიაა: „ელისაბედ პეტრეს ასული, მეუღლე მღვდელის კვინიკაძისა, დ. 1896-გ.1921".

შემორჩენილი ეპიტაფიების მიხედვით თუ ვისმჯელებთ,გარდაცვლილთა უმრავლესობა 1921 წელზე მოდის, რომელიც იმ დროს გავრცელებული ეპიდემის შედეგი უნდა ყოფილიყო.

ზემოხსენებული საფლავის სიახლოვეს მდებარეობს ელისაბედის მეუღლის, მღვდელ სვიმონ ათანასეს ძე ლომაძის (?) საფლავი, რომელიც 53 წლის ასაკშიგარდაცვლილა:

(1) ამა ლოდსა ქვეშე მდებარეობს

(2) გვამი .....მ მღვდლის

(3) სვიმონ ათანასეს ძე

(4) .....ლომაძე გ .....რომელიც

(5) გარდაიცვალა დეკემბერ

(6) ჩყოე (=1875 წ.) წელს შობითგან მექონე ნგ (=53) წელსა"

ზემო ხვითში, წმ. გიორგის ტაძრის შესასვლელში, ორ ერთმანეთის გვერდით არსებულ ქვის (ერთ მათგანს თავზე ჯვარი ადგას, მეორეს მომტვრეული, თუ მოხსნიელი აქვს) არსებულ ეპიტაფიას გამოვარჩევთ. ეპიტაფია სავლავის ქვის ოთხივ კუთხიდან იკითხება:

(ჩრდ. მხარე) **,,ამა ლოდსა ქვეშე განისვენებს**
გვამი ზაქარია გიორგის ძე ლაზარაშვილის
(დასავლ. მხარე) **დამრჩა ორი ვაჟი, ორი ქალი, ცოლი**
ჩემს სალდათს შვილს ვანაცვალე
(აღმოსავლ. მხარეს) **თვით აღვსრულდი 1917 წ.**
დღესა თიბათვის 15, შობითგან 60
(სამხრ. მხარეს) **წამკითხველნო**
შენდობა გვიბრძანე“

ე. ი. ეპიტაფიის მიხედვით, ზაქარია ლაზარაშვილი დაბადებულა 1857 წელს, ხოლო გარდაცვლილა 1917 წელს. დარჩენია ოთხი შვილი.

მეორე საფლავის წარწერა მნიშვნელოვნადაა დაზიანებული და წარწერის ადგილი ამოტეხილია. შესაძლოა, იგი სავარაუდოდ ზაქარიას მეუღლეს ეკუთვნის, რადგან მის გვერდით მდებარეობს:

,,ამა ლოდსა შინა განისვენებს
.....ლი .....რაშვილისა
დაიბადა იანვრის 21-ს
გარდაიცვალა 1917 წ. აგვისტოს 6
წამკითხველნო შენდობა შემომითვალეთ“.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

ალიმბარაშვილი, ი. (2008). *აღმოსავლეთ საქართველოს თავდაცვითი სისტემა XVIII საუკუნის II ნახევარში.* თბილისი.

ალიმბარაშვილი, ი. (2021). *შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა XVIII საუკუნის პირველ ოცწლეულში რუსული კამერალური აღწერების მიხედვით.* გორი: გორის უნივერსიტეტი.

ანდღულაძე, ნ. (1969). თირის მონასტრის წარწერები. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია ,,მაცნე"*, #6.

ბერძენიშვილი, ნ. (1940). *დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. I.* თბილისი.

გვასალია, ჯ. (1982). ლიახვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. 6.* თბ.

დოლიძე, ი. (1970). *ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III.* თბილისი.

დოლიძე, ი. (1985). *ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VIII.* თბილისი.

თაბუაშვილი, ა. (2013). *ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის II ნახევარი).* თბილისი.

ლორთქიფანიძე, ი. (1947). საბუთები ერეკლე მეფის მორიგე ჯარის შესახებ. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ.XIV_B.* თბილისი

ხერხეულიძე, ომან. (1989). *მეფობა ირაკლი მეორისა.* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო *ლელა მიქიაშვილმა.* თბ., 1989.

ჟორდანია, თ. (1897). *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წიგნი II (1213 წლიდან-1700 წლამდე) .* ტფილისი.

საქართველოს... (1990). *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5.* თბილისი.

საყვარელიძე, თ. (1987). *XIV-XIX საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობა, ნაკვ. I.* თბილისი.

სოსიაშვილი, გ. (2021). *სამაჩაბლოს ისტორია.* თბილისი.

ორბელიანი, პაპუნა. (1981). *ამბავნი ქართლისანი.* ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა. თბ.

ხუციშვილი, ნ. (2006). *იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში.* თბილისი.

ჯიქია, სერგი, შენგელია, ნოდარ. (2009). *1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I.* თბილისი.

Акты (II). (1868). Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиею, т. II, Тифл.,1868, стр. 550, док. 1070.

Броссе, М. (1861). *Переписка на иностранных языках Грузинских царей с Росийскими государиями от 1659 г.* СПБ.

Свод... (1893). *Свод статистических данных о населении Закавказского края извлечённых из посемейных списков 1886 г.* Тифлись.

REFERENCES

alimbarashvili, i. (2008). *aghmosavlet sakartvelos tavdatsviti sist'ema XVIII sauk'unis II nakhevarshi. [The defense system of Eastern Georgia in the second half of the XVIII century]*. Tbilisi.

alimbarashvili, i. (2021). *shida kartlis (goris mazris) mosakhleoba XVIII sauk'unis p'irvel otsts'leulshi rusuli k'ameraluri aghts'erebis mikhedvit*. gori: goris universit'et'i. [P*opulation of Shida Kartli (Gori region) in the first twenty years of the XVIII century according to Russian chamber descriptions*. Gori: Gori University].

andghuladze, n. (1969). tiris monast'ris ts'arts'erebi. *sakartvelos ssr metsnierebata ak'ademia ,,matsne",* #6. [Inscriptions of Tiri Monastery. "*Matsne" Academy of Sciences of the Georgian SSR, # 6].*

berdzenishvili, n. (1940). *dok'ument'ebi sakartvelos sotsialuri ist'oriidan, t'. I. [Documents from the social history of Georgia, Vol. I]*. Tbilisi.

gvasalia, j. (1982). liakhvis kheobis ist'oriuli geograpiis sak'itkhebi. *sakartvelos ist'oriuli geograpiis k'rebuli, t'. 6.* [Issues of historical geography of Liakhvi gorge. *Collection of Historical Geography of Georgia, Vol. 6].* Tb.

dolidze, i. (1970). *kartuli samartlis dzeglebi, t'. III. [Monuments of Georgian Law, Vol. III]*. Tbilisi.

dolidze, i. (1985). *kartuli samartlis dzeglebi, t'. VIII. [Monuments of Georgian Law, Vol. VIII].* Tbilisi.

tabuashvili, a. (2013). *kalak tskhinvalisa da misi mimdebare soplebis aghts'eris davtrebi (XVIII sauk'unis II nakhevari). [Census books of the city of Tskhinvali and its surrounding villages (second half of the XVIII century)]*. Tbilisi.

lortkipanidze, i. (1947). *sabutebi erek'le mepis morige jaris shesakheb. sakartvelos sakhelmts'ipo muzeumis moambe, t'.XIV_B. [Documents about King Erekle's army on duty. Moambe of the Georgian State Museum, Vol. XIV_B]*. Tbilisi

kherkheulidze, oman. (1989). *mepoba irak'li meorisa*. t'ekst'i gamosatsemad moamzada, gamok'vleva, leksik'oni da sadziebeli daurto lela mikiashvilma. [*King Irakli the Second.]* The text was prepared for examination, researched, lectured and researched. La Mikhashvili. Tbilisi.

zhordania, t. (1897). *kronik'ebi da skhva masala sakartvelos ist'oriisa da mts'erlobisa, ts'igni II (1213 ts'lidan-1700 ts'lamde). [Chronicles and other material on the history and literature of Georgia, Book II (from 1213 to 1700)]*. Tbilissi.

sakartvelos... (1990). *sakartvelos ist'oriisa da k'ult'uris dzeglta aghts'eriloba. [Description of historical and cultural monuments of Georgia, Vol. 5]*. Tbilisi.

saqvarelidze, t. (1987). *XIV-XIX sauk'uneebis kartuli okromch'edloba, nak'v. I. [Georgian goldsmithing of XIV-XIX centuries, p. I].* Tbilisi.

sosiashvili, g. (2021). *samachablos ist'oria. [History of Samachablo].* Tbilisi.

orbeliani, p'ap'una. (1981). *ambavni kartlisani*. t'ekst'i daadgina, shesavali, leksik'onebi da sadzieblebi daurto elene tsagareishvilma. *]The story of Kartli].* The text was compiled, included, dictionaries and search engines enclosed by Elene Tsagareishvili. Tb.

khutsishvili, n. (2006). *ierusalimis jvris monast'ris mits'atmplobeloba sakartveloshi. [Land ownership of the Monastery of the Cross in Jerusalem in Georgia].* Tbilisi.

jikia, sergi, shengelia, nodar. (2009). *1728 ts'lis tbilisis vilaietis didi davtari, ts'igni I. [The Great Book of Tbilisi Vilayet of 1728, Book I].* Tbilisi.

Akty (II). (1868). *Akty Sobrannye Kavkazskoju Arheograficheskoju Kommisieju*. t. II, Tifl.,1868, str. 550, dok. 1070.[*Acts Collected by the Caucasian Archaeographic Commission].* vol. II, Tifl., 1868, p. 550, doc. 1070.

Brosse, M. (1861). *Perepiska na inostrannyh jazykah Gruzinskih carej s Rosijskimi gosudarijami ot 1659g. SPB. [Correspondence in foreign languages of the Georgian kings with the Russian sovereigns from 1659].* SPB.

Svod... (1893). *Svod statisticheskih dannyh o naselenii Zakavkazskogo kraja izvlechjonnyh iz posemejnyh spiskov 1886 g. [A set of statistical data on the population of the Transcaucasian region taken from the family lists of 1886].* Tiflis.